

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა
კომისიის 2017 წლის 20 ნოემბრიდან ერთი წლის განმავლობაში
გაწეული მუშაობის ანგარიში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია შედგება 9 წევრისაგან.

კომისიის თავმჯდომარე-გიორგი ჩახვაძე.

წევრები: ალექსანდრე მახათაძე, ზაზა წულაძე, კარლო კვიციანიშვილი, ზურაბ კუკულავა, ოთარ პატიეშვილი, აკაკი იმნაიშვილი, თორნიკე ტიკაძე ირაკლი მარშანიშვილი.

წარმოგიდგენთ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის მიერ 2017 წლის 20 ნოემბრიდან ერთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშს.

2017 წლის 20 ნოემბრიდან კომისიას ჩატარებული აქვს 11 სხდომა. აქედან ერთი გაერთიანებული კომისიის სხდომა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიებთან ერთად (3.09.2018). სხდომებზე მოხდა, როგორც სამუშაო გეგმით გათვალისწინებული, ასევე მიმდინარე საკითხების განხილვა. დამტკიცებულია საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2018 წლის სამუშაო გეგმა. კომისიამ როგორც მერიის სამსახურებიდან, ასევე საკრებულოს სხვა კომისიებიდან ინიცირებული პროექტები განიხილა, შეისწავლა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

კომისიის მიერ შესწავლილი იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საპრივატიზაციო გეგმასა და ნუსხაში შესატანი ქონებები. ასევე კომისიის მიერ რეკომენდაცია მიეცა მერიის შესაბამის სამსახურებს, რათა მიემართათ შესაბამისი სამინისტროსთვის, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული უსახური ქონებები, რომლებიც იმყოფება ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე, საბოლოოდ მოეხდინათ მათი პრივატიზება ან გადმოცემა მუნიციპალიტეტისათვის, რომლებიც აუშნოებს და ამახინჯებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იერსახეს და ასევე საფრთხის შემცველია მოსახლეობისათვის.

კომისიის მიერ გაიმართა მუშა შეხვედრები მოსახლეობასთან კოლხეთის ეროვნულ პარკსა და საშეშე და სამასალე ხე-ტყის მოპოვებასთან დაკავშირებით. ამავე საკითხებზე შეხვედრები გაიმართა პარლამენტის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის დარგობრივ კომიტეტთან, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროსთან.

კომისია აქტიურად იყო ჩართული აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებათა დაგეგმვის პროცესში და არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა აღნიშნული პრობლემური საკითხის სწორად წარმართვის მიზნით.

კომისია აქტიურად იყო ჩართული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ავტომაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის გზის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოსახლეობის მიერ წამოჭრილი არაერთი პრობლემური საკითხის მოგვარებისა და დარეგულირების მიზნით.

კომისიის მიერ ასევე შემუშავებული იქნა არასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი. ასევე კომისიის მიერ განისაზღვრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ბალანსზე ასევე, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების საბალანსო ნარჩენი ღირებულების გადასახადის განაკვეთი.

კომისიის მიერ მომზადებული იქნა შემდეგი სამართლებრივი აქტების პროექტები:

დადგენილების პროექტი - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების თაობაზე“.

დადგენილების პროექტი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებული მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“.

დადგენილების პროექტი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის თაობაზე“.


დადგენილების პროექტი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“.

განკარგულების პროექტი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ და ა.შ

კომისიის მიერ განხილული იქნა და სხვადასხვა სახის შუამდგომლობები გაეწია არაერთ განცხადებას.

კომისია მაღალი მოტივაციითა და გუნდური მუშაობით არის მოტივირებული, რათა დროულად იქნეს შესწავლილი მთელი რიგი პრობლემური საკითხები.

კომისია აგრძელებს აქტიურ მუშაობას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:  გიორგი ჩახვაძე